ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება № 2605751

გაცემის თარიღი: 20/05/2016 გაცნობის თარიღი: 20/05/2016

განცხადების ნომერი: AR1401886

შემოსვლის თარიღი: 04/05/2016

შედეგი: **თანხმობა**

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:

- საკადასტრო კოდი: 01.17.12.003.106
- მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა სამგორი , N 3
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 3098.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): შპს "დეკუნი" (406053915)

ნომენკლატურა :

- **სამართლებრივი საკითხები**
- **ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება**

დამკვეთი - განმცხადებელი:

- რეზა ხოსრავი პ/ნ 01591003826
- მისამართი: თბილისი ლილოს შეს. N 3

ბრძანება

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 18.12.2014 წ. №1645274 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 04/05/2016 წ. AR1401886 განაცხადით მომართა რეზა ხოსრავმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 18.12.2014 წ. №1645274 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 18.12.2014 წ. №1645274 ბრძანებით ქ. თბილისში, სამგორის ქ. #3-ში, შ.პ.ს. ,,დეკუნი"- ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა სადემონტაჟო გენგეგმაზე მონიშნული არსებული შენობა–ნაგებობების დემონტაჟის პროექტი და გაიცა დემონტაჟის ნებართვა. დემონტაჟის ვადა განისაზღვრა 2014 წლის 19 დეკემბრიდან 2016 წლის დეკემბრის ჩათვლით.

საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაციის N882015575324, მომზადების თარიღი: 09/10/2015) თანახმად, ქ. თბილისში, სამგორის ქ. #3-ში მდებარე ობიექტის (საკადასტრო კოდი: 01.17.12.003.106) მესაკუთრეს წარმოადგენს შ.პ.ს. ,,დეკუნი", რომლის დირექტორია რეზა ხოსრავი (1551837544, P21203297).

განსახილველი განაცხადით, მოთხოვნილია დემონტაჟის ნებართვაში ცვლილების განხორციელება, ვინაიდან, მესაკუთრეს არ აქვს შენობა–ნაგებობების სრული დემონტაჟის ინტერესი. განაცხადის განმარტებით ბარათში წარმოდგენილი განმარტებით, 3/1 და 4/2 შენობებს დემონტაჟის ნაცვლად უნდა ჩაუტარდეს რეკონსტრუქცია მიშენებით, შესაბამისად განმცხადებელი ითხოვს, 18.12.2014 წ. №1645274 ბრძანება დემონტაჟის თაობაზე ეხებოდეს მხოლოდ 2/1 და 1/3 შენობებს. აღნიშნულისათვის კი საჭიროა მოხდეს ხსენებული ბრძანების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადება.

განცხადებით წარმოდგენილია ობიექტზე არსებული მდგომარეობის ამსახველი ფოტოსურათები, რომლიდანაც დგინდება, რომ ობიექტზე, სადემონტაჟო სამუშაოები სრულად არ არის ნაწარმოები.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

“ლიცენზიებისა და ნებართვებისშესახებ” საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-7 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის თანახმად, ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლში განსაზღვრული საფუძვლების გარდა, შეიძლება იყოს ნებართვის მფლობელის მოთხოვნა.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მესაკუთრეს აღარ აქვს სამსახურის 18.12.2014 წ. №1645274 ბრძანების საფუძველზე, შენობა–ნაგებობების სრული დემონტაჟის ინტერესი სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მითითებული აქტების ძალადაკარგულად გამოცხადება დემონტაჟის პროექტის შეთანხმების ნაწილში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და “ლიცენზიებისა დანებართვების შესახებ” საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-7 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის თანახმად,

ვბრძანებ:

1. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 18.12.2014 წ. №1645274 ბრძანება, ნაწილობრივ (3/1 და 4/2 შენობების დემონტაჟის ნაწილში) გამოცხადდეს ძალადაკარგულად.

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.